ახალი ხარაგაული

350 (9) 20 აპრილი, 2017 წ

ვულოცავთ ვოლოგომის ბრწყინვალე ლოიალურ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ყველა მცხოვრებს. ფასდაუდებელი ფიქრით ფოთლის ჯიბით სავსეს. სიყვარულმ, მოფერებამ სიფაფრემ და მიმტევებლობის ძალამ ლაბირინთიდან თითოეული თჯერებულის გულში.

გაძლიერებით, გაბრავებით, გეთანავებით ფოთალი!

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობა
ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ვულოცავ ბაზალეთის ტერიტორიული ერთეულის თითოეულ თვალს უფლის აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს.

დაე, უფლის მადლით გაძლიერდეს და გავანსაღდეს თქვენი ყოფა. სიყვარულმა განსაზღვროს ჩვენი საქმიანი ურთიერთობის ყოველი დღე!

პატივისცემით, ბაზალეთის ადმინისტრაციული ერთეულის მაჟორიტარი დეპუტატი, ვარლამ ჭიპაშვილი

ესტონეთის ქალაქ კადრინასა და ხარაგაულის მუნიციპალიტეტს შორის მემორანდუმი გაფორმდა

ხარაგაულის მუნიციპალიტეტმა ესტონელ სტუმრებს უმასპინძლა. ევროპის აღმოსავლეთ პარტნიორობის ფარგლებში, ხარაგაულსა და ესტონეთის ქალაქ კადრინას შორის მეგობრობის მემორანდუმი გაფორმდა. მემორანდუმის მიხედვით, მუნიციპალიტეტების ხელმძღვანელები შეთანხმდნენ, რომ აქტიურად ითანამშრომლებენ კულტურის, განათლების, ეკონომიკის მიმართულებით, ხელს შეუწყობენ ორი ქვეყნის დამეგობრებას. ასევე სკოლის მოსწავლეებისა და კულტურული ორგანიზაციებისთვის გაცვლითი პროგრამების განხორციელებას.

როგორც ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელმა, ნიკოლოზ თოფურიძემ აღნიშნა, ხარაგაულისა და კადრინას მუნიციპალიტეტების დამეგობრების იდეა ესტონეთში მცხოვრებ ჩვენს თანამემამულე, გოჩა მაჭავარიანს, ეკუთვნის, ასევე ურთიერთობების ერთ-ერთი მხარდამჭერი და ინიციატორი ბაღდათი-ხარაგაულის მაჟორიტარი დეპუტატი, კობა ლურსმანაშვილი, გახლავთ.

მემორანდუმის გაფორმების შემდეგ კინოთეატრში საზეიმო კონცერტი გაიმართა. ღონისძიებაში ხარაგაულის ა(ა)იპ „კულტურის ცენტრის“ ქორეოგრაფიული და ვაჟთა ფოლკლორული ანსამბლი „უბისი“ და ესტონეთის დელეგაციის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. გამგებელმა სამახსოვრო საჩუქრები გადასცა სტუმრებს და მადლობა გადაუხადა საინტერესო წინადადებებისთვის. ხარაგაულში ესტონეთის დელეგაცია, რომელთა შორის ქალაქ კადრინას მერი, მუნიციპალიტეტის გამგებელი და გამგებლის მოადგილე, ესტონელი სტუდენტები, მეწარმეები და ბიზნესმენები იყვნენ, სამი დღე იმყოფებოდა.

ლელა გუგულაშვილი

ხარაგაულში 9 აპრილს ღალატული მმირები გაისსენეს

1989 წლის 9 აპრილის ტრაგიკული ღამიდან უკვე 28 წელი გავიდა. ამ საშინელ თარიღსა და დაღუპულ თანამემამულეებს ქართველები მუდამ დიდი გულისტკივილითა და ცრემლმორეული თვალებით ვიხსენებთ. 9 აპრილი ქართველებისათვის ორმაგი ემოციითაა დატვირთული. ეს არის ტრაგედიისა და სიხარულის დღე. ტრაგედიისა იმიტომ, რომ საქართველომ დაკარგა საუკეთესო შვილები. სიხარულისა კი იმის გამო, რომ ზუსტად 2 წლის შემდეგ, 1991 წლის 9 აპრილს, საქართველოს დამოუკიდებლობა ოფიციალურად გამოცხადდა. მტერი იმ ერთ კონკრეტულ დღეს მოგვერია, დაგვწამლა, დაგვჩეხა, მოგვკლა, იფიქრა, რომ ჩააქრო ქართველებში თავისუფლების სურვილი, მაგრამ პირიქით მოხდა, ,,კიდევაც დავიზარდეთ“, კიდევ უფრო გავძლიერდით, გავერთიანდით და სწორედ ამას მოჰყვა შედეგად ქართველი ერის ნაოცნებარი–დამოუკიდებლობა!

1989 წლის 9 აპრილს რუსთაველის გამზირზე, მაშინდელი მთავრობის სასახლის წინ, წითელმა არმიამ და შინაგანმა ჯარმა მშვიდობიანი მიტინგი სასანგრე ნიჩბების, ხელკეტებისა და გაზის გამოყენებით დაარბიეს. იყო უამრავი დაშავებული, 21 მოკლული, მათ შორის ერთი ჩვენი რაიონის მკვიდრი, ელისო ჭიპაშვილი. დემონსტრაციის მონაწილეთა უმთავრესი მოთხოვნა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა და საბჭოთა კავშირის შემადგენლობიდან გამოსლვა იყო.

9 აპრილის დღესთან დაკავშირებით, ბაღდათი-ხარაგაულის მაჟორიტარმა დეპუტატმა კობა ლურსმანაშვილმა და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა 9 აპრილის მემორიალი ყვავილებით შეამკეს და დაღუპულთა ხსოვნას პატივი მიაგეს. გარდაცვლილთა სულის მოსახსენიებელი პარაკლისი გადაიხადა ხარაგაულის წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის სამლოცველო სახლის წინამძღვარმა მამა ანტონმა (სულთანიშვილი).

კობა ლურსმანაშვილმა გაიხსენა ის მძიმე პერიოდი, რომელიც ჩვენმა სამშობლომ გადაიტანა და ხაზგასმით აღნიშნა, რომ 1989 წლის 9 აპრილი საქართველოს ისტორიაში წითელი კალმით ჩაიწერა. მაჟორიტარი

გაგრძელება ▶ 2 გვ.

მანანა ბარბაქაძემ N1 საბავშვო ბაღის აღსაზრდელებს სათამაშოები გადასცა

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, მანანა ბარბაქაძე, ახალგაზრდული საკრებულოს წევრებთან ერთად, დაბის N1 საბავშვო ბაღს სტუმრობდა. მან პედაგოგებს აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაული მიულოცა და აღსაზრდელებს სათამაშოები გადასცა. როგორც საკრებულოს თავმჯდომარემ აღნიშნა, სამომავლოდ საჩუქრებს მუნიციპალიტეტის სხვა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებიც მიიღებს.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელმა, ნიკოლოზ თოფურიძემ, ისლარში გაზიფიცირების სამუშაოები დაათვალიერა

ისლარსა და ჯაფაროულში, გაზიფიცირების სამუშაოები დაიწყო. 13 აპრილს ბუნებრივი აირის შესაყვანად გარე ქსელის მოწყობის სამუშაოები ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელმა, ნიკოლოზ თოფურიძემ, დაათვალიერა. გაზიფიცირების სამუშაოებს ხარაგაულში, საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიის დაკვეთით, შპს ,,STS group“ ახორციელებს.

ისლარში ბუნებრივი აირის გარე მაგისტრალის მოსაწყობად მიმდინარე სამუშაოებზე უმრავლესობა ადგილობრივი მოსახლეობიდანაა დასაქმებული.

პროექტი ორი თვის ვადაში, ივნისის შუა რიცხვებში, დასრულდება, რაც გარე ქსელის ჩაბარებასა და ტესტირებას გულისხმობს. ისლარის პარალელურად გაზიფიცირების სამუშაოები მიმდინარეობს სოფელ ჯაფაროულშიც.

ლელა გუგულაშვილი

საკრებულოს თავმჯდომარემ სოციალურად დაუცველ ოჯახებს სააღდგომო საჩუქრები გადასცა

საკრებულოს თავმჯდომარე, მანანა ბარბაქაძე, ბორითის ადმინისტრაციულ ერთეულში მცხოვრებ რამდენიმე სოციალურად დაუცველ ოჯახს ესტუმრა და სააღდგომო საჩუქრები გადასცა. მან ბენეფიციარებს აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაული მიულოცა და ჯანმრთელობა და კეთილდღეობა უსურვა. დეპუტატის სტუმრობა ოჯახებისთვის მოულოდნელი და ემოციური იყო. როგორც მათ აღნიშნეს, ქალბატონ მანანას მხრიდან ყოველთვის გრძნობენ ყურადღებას, რის გამოც მადლიერებას გამოხატავენ.

მუნიციპალიტეტის გამგებელი, ნიკოლოზ თოფურიძე, ანეულას მოსახლეობის პრობლემებს ადგილზე გაეცნო

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელი, ნიკოლოზ თოფურიძე, მოადგილე თემურ ჩხეიძესა და მოლითის ადმინისტრაციულ ერთეულში გამგებლის წარმომადგენელ სპარტაკ ლაცაბიძესთან ერთად, სოფელ ანეულას მოსახლეობას შეხვდა და მათი პრობლემები მოისმინა. ადგილობრივების ძირითად პრობლემას სოფლის ცენტრალურ გზაზე გადაადგილება წარმოადგენს. მოგეხსენებათ, ანეულას მიმდებარე ტერიტორიაზე „ჩინეთის რკინიგზის 23-ე ბიურო“ სარკინიგზო გვირაბების მშენებლობას აწარმოებს. სოფლის გზებზე სისტემატურად გადაადგილდება მაღალი ტვირთამწეობის მანქანები, რამაც გარკვეული პრობლემები შეუქმნა მოსახლეობას. როგორც ჩვენთვის ცნობილია, ჩინურმა მხარემ არაერთხელ შეაკეთა დაზიანებული გზები, გააკეთა ალტერნატიული შემოსავლელიც, მაგრამ სოფლის ცენტრალურ გზაზე მაინც მოძრაობენ. სატვირთო მანქანების გადაადგილებით გამოწვეული მტვერი და ღამის საათებში ხმაური კი, მოსახლეობას გაუსაძლის მდგომარეობაში აყენებს. გარდა ამისა, სოფლის მცხოვრებლები ამბობენ, რომ აფეთქებები გვირაბებში ღამით ხდება და ხმაურთან ერთად ეს სახლების დაზიანებას იწვევს. გამგებელი, ნიკოლოზ თოფურიძე, ადგილობრივებს ახალი სარკინიგზო მაგისტრალის მნიშვნელობაზე ესაუბრა და მათ მიერ დასახელებული პრობლემების განხილვას და კონკრეტული პასუხების გაცემას უახლოეს მომავალში დაპპირდა. „აქ ახალი, სახელმწიფო მნიშვნელობის სტრატეგიული, სარკინიგზო და საგზაო მაგისტრალი გაკეთდება, რაც ამ ზონაზე არსებული სოფლების ეკონომიკურ განვითარებას შეუწყობს ხელს. სახელმწიფო მიმართულია იმისკენ, რომ სოფელი განვითარდეს და მოსახლეობის პრობლემები გადაიჭრას.“- განაცხადა შეხვედრისას გამგებელმა.

მოსახლეობამ ნიკოლოზ თოფურიძეს მადლობა გადაუხადა სოფლის პრობლემების ადგილზე გაცნობისა და მოსმენისთვის.

ლაშისა და კიცხის გაზიფიცირების პროექტზე მუშაობა დასრულდა

30 მარტს საქართველოს პარლამენტის რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტის სხდომა ჩატარდა, რომელზეც მოისმინეს ინფორმაცია მუნიციპალიტეტებში გაზიფიცირების სამუშაოების შესახებ. სხდომას ესწრებოდა რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტის წევრი და ბაღდათი-ხარაგაულის მაჟორიტარი დეპუტატი კობა ლურსმანაშვილი, რომელმაც მომხსენებელს, საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის მოადგილეს, ქალბატონ მარიამ ვალიშვილს, შეკითხვით მიმართა. კობა ლურსმანაშვილი ლაშისა და კიცხის გაზიფიცირების საკითხებით დაინტერესდა. როგორც ქალბატონმა მარიამ ვალიშვილმა განაცხადა, მიმდინარე წელს ხარაგაულის მუნიციპალიტეტში ჯაფაროული და ისლარი დაიქსელება, რაც შეეხება ლაშისა და კიცხის გაზიფიცირებას, პროექტი მზადაა, რომლის ღირებულებაც 2 მლნ 800 ათასი ლარია. ყველაფერი კეთდება იმისთვის, რომ აღნიშნულ სოფლებში სამუშაოები მომავალი წლიდან დაიწყოს.

სხდომაზე კობა ლურსმანაშვილმა თხოვნით მიმართა ასევე საავტომობილო გზების დეპარტამენტის ხელმძღვანელობას, მიექცეს ყურადღება ჩინურ კომპანიას, რომელიც ხარაგაულის ტერიტორიაზე ახალ სარკინიგზო ხაზს აშენებს. როგორც ლურსმანაშვილმა განაცხადა, აღნიშნული კომპანიის მიმართ მოსახლეობა უკმაყოფილებას ხშირად გამოთქვამს და შესაბამისი ზომებია გასატარებელი.

ეკა შავიძე

ხარაგაულში 9 აპრილს დალუპული მგირების გაისსენეს

დასაწყისი ▶ 1 გვ.

დეპუტატის თქმით, ეს იყო დღე, როცა ყველა ქართველი ერთი მიზნისთვის გაერთიანდა და შედეგსაც მიაღწია.

,,ამაყნი ვართ, როცა ვიხსენებთ იმ ქარცეცხლიან დღეს, როდესაც ქვეყნის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა მიმდინარეობდა. სწორედ იმდროინდელი დეკლარირებული გეგმები, რომელიც ჩვენს ქვეყანას გააჩნდა, ნელ - ნელა სრულდება. ეს კი ყველაფერი 9 აპრილის გმირების თავდადების ხარჯზე ხდება. ამ ადამიანებმა საკუთარი სიცოცხლე შესწირეს სამშობლოს და შედეგიც სახეზეა. საქართველომ უკვე შეაღო ევროკავშირის კარი და ევროპის ქვეყნებში თავისუფლად შეგვიძლია გადაადგილება",-დასძინა კობა ლურსმანაშვილმა.

9 აპრილის სისხლიან ისტორიაზე ისაუბრა ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს" თავმჯდომარემ, ვარლამ (ტატო) თავზარაშვილმა.

,,15 წლის ვიყავი, როდესაც ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობაში ჩავები და აქტიურად ვადევნებდი თვალ-ყურს მიმდინარე პროცესებს. ქედს ვიხრი იმ გმირების წინაშე, რომლებიც 9 აპრილს რუსთაველის მოედანზე დაეცნენ. მათი დამსახურებით საქართველო არის თავისუფალი და ხდება დიდი ევროპული ოჯახის წევრი." - აღნიშნა თავზარაშვილმა.

9 აპრილისადმი მიძღვნილი ღონისძიება კულტურის სამსახურის უფროსს, ირინე ჩხეიძეს, მიჰყავდა. ღონისძიებაზე წაკითხულ იქნა სამშობლოსადმი მიძღვნილი ლექსები. ასევე შესრულდა საგალობელი (რეგენტი თორნიკე ბაკურაძე).

შეგახსენებთ, რომ ხარაგაულის მუნიციპალიტეტში 9 აპრილის მოვლენების დროს დაზარალებული ორი მოქალაქე ცხოვრობს, (სოფელ ხუნევში ლელა გრიგალაშვილი და სოფელ ღორეშაში გოჩა კოპაძე), რომელთაც ადგილობრივი ბიუჯეტიდან 300-300 ლარი ჩაერიცხებათ.

ეკა შავიძე

აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულთან დაკავშირებით ადგილობრივი ბიუჯეტიდან 265-მა ოჯახმა ფულადი დახმარება მიიღო

აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულთან დაკავშირებით, ხარაგაულის მუნიციპალიტეტში მცხოვრებმა 265-მა ოჯახმა ფულადი დახმარება მიიღო. გამგეობის ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსის, ნანა კიკნაძის, ინფორმაციით, სააღდგომო ნობათის შესაძენად მცირე ფულადი თანხა მუნიციპალიტეტში მცხოვრებ დევნილებსა და უკიდურესად გაჭირვებულ მოქალაქეებს პირად ანგარიშზე ჩაერიცხათ. სააღდგომო ნობათი გადასცეს ასევე ხარაგაულის სათნოების სახლის თანამშრომლებმა დაბაში მცხოვრებ სოციალურად დაუცველ ხუთ ოჯახს. ,,სათნოების სახლის" დირექტორის, გოგიტა ჩიჩილიძის, ინფორმაციით, უფასო სასადილოს ბენეფიციარებს სადღესასწაულოდ პასკა და კვერცხი დაურიგდათ.

ეახლოეს მომავალში ბორის სკოლა-პანსიონში „დღის ცენტრი" დაიწყებს ფუნქციონირებას

ა(ა)იპ განვითარებისა და სოციალური რეაბილიტაციის ცენტრის „თაირისის" დირექტორი, ირინე აბდალაძე და ცენტრის წარმომადგენლები ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელს, ნიკოლოზ თოფურიძეს, შეხვდნენ და ბორის სკოლა-პანსიონის ბაზაზე „დღის ცენტრის" ფუნქციონირებისთვის კონკრეტულ დეტალებზე ისაუბრეს.

მნიშვნელოვანია, რომ 2017 წელს საქართველოს ჯანდაცვის სამინისტრომ ხარაგაულში „დღის ცენტრისთვის" კვოტა 20 ბენეფიციარზე დაუშვა, რაც იმის მანიშნებელია, რომ ბორში „დღის ცენტრი" უახლოეს მომავალში დაიწყებს ფუნქციონირებას. სკოლა-პანსიონის ბაზაზე არსებულ ადაპტირებულ გარემოში მომსახურებას 6-დან 18 წლამდე ასაკის განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვები მიიღებენ. ასევე განხორციელდება მოზარდთა ადრეული განვითარების ქვეპროგრამა, რომელიც მოიცავს ბავშვის ინდივიდუალური საჭიროებიდან გამომდინარე სხვადასხვა სპეციალისტის თვეში არანაკლებ რვა პიროვნების მომსახურებას.

შეხვედრას ხარაგაულის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი, დავით კიკნაძე, სოციალური მომსახურების სააგენტოს ხარაგაულის რაიონული განყოფილების უფროსი, ნაზი გველესიანი, ბორის სკოლა-პანსიონის დირექტორი, ჰამლეტ ბერაძე და ადგილობრივი ხელისუფლების სხვა წარმომადგენლები ესწრებოდნენ. როგორც ქალბატონმა ირინე აბდალაძემ აღნიშნა, პროგრამის ფარგლებში განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვებთან სპეცპედაგოგები და ფსიქოლოგები (რომელთაც უკვე გავლილი აქვთ ტრენინგები) იმუშავებენ. ბავშვები ჩაერთვებიან სხვადასხვა აქტივობაში, მონაწილეობას მიიღებენ ისეთ ღონისძიებებში, რაც მათ საზოგადოებაში უფრო ინტეგრირებულს გახდის. ჩაუტარდებათ ასევე სპორტულ-გამაჯანსაღებელი ვარჯიშები. ბენეფიციარებს მომსახურება გაეწევათ ყოველდღიურად (შაბათ-კვირისა და უქმე დღეების გარდა) 6 საათის განმავლობაში და კვება იქნება ორჯერადი. რაც შეეხება ტრანსპორტირების უზრუნველყოფას, დავით კიკნაძის ინფორმაციით, საკითხი მოლაპარაკების პროცესშია.

„დღის ცენტრით" სარგებლობის მსურველებმა რეგისტრაცია უნდა გაიარონ სოციალური მომსახურების სააგენტოს რაიონულ განყოფილებაში, სადაც უნდა წარადგინონ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი და პირადობის მოწმობა.

მუნიციპალიტეტის გამგებელმა, ნიკოლოზ თოფურიძემ, ხარაგაულში ,,დღის ცენტრის" აუცილებლობაზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ ადგილობრივი ხელისუფლება ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რომ განსაკუთრებული საჭირობის მქონე პირებმა თავი საზოგადოების სრულფასოვან წევრებად იგრძნონ.

შეგახსენებთ, რომ მუნიციპალიტეტში განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირთათვის ადაპტირებული გარემო აქამდე არ ყოფილა. ბორის საჯარო სკოლა-პანსიონის ბაზაზე, „დღის ცენტრის" სარეაბილიტაციო სამუშაოები 2016 წელს ადგილობრივი ბიუჯეტიდან 38 ათასი ლარით დაფინანსდა. გარემონტდა ოთახები, გაკეთდა სპეციალური პანდუსები. ადგილობრივი ბიუჯეტიდან მოხდა ასევე ცენტრის საჭირო ინვენტარით აღჭურვა.

ეკა შავიძე

ბიუროს სხდომაზე ზედამხედველობისა და არქიტექტურის სამსახურის ანგარიში განიხილეს

18 აპრილს საკრებულოს ბიუროს სხდომაზე დეპუტატებმა ზედამხედველობისა და არქიტექტურის სამსახურის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში მოისმინეს. საკითხი ამავე სამსახურის უფროსმა თემურ თაბუკაშვილმა წარადგინა და გასულ და მიმდინარე წელს განხორციელებულ ინფრასტრუქტურულ პროექტებზე ისაუბრა. მან ასევე ყურადღება გაამახვილა იმ კომპანიებზე, რომლებმაც პროექტებზე სამშენებლო სამუშაოები უხარისხოდ შეასრულეს. თემურ თაბუკაშვილის თქმით, ასეთ კომპანიებს პირგასამტეხლოს გადახდა დაეკისრათ და თანხის გადაუხდელობის შემთხვევაში საქმეს სასამართლო განიხილავს.

საკრებულოს თავმჯდომარემ, მანანა ბარბაქაძემ, ზედამხედველობისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსს სარეკლამო ადგილების მოწესრიგებისაკენ მოუწოდა. მან ასევე აღნიშნა, რომ ცენტრალურ მაგისტრალზე მდებარე სასადილოების მიერ მდინარის კალაპოტის დაბინძურება ხდება, რის შედეგადაც მოსახლეობა წყლით ვერ სარგებლობს. მანანა ბარბაქაძის განცხადებით, კარგი იქნება თუ მუნიციპალიტეტი აღნიშნული საკითხის მოგვარებაზე იზრუნებს. თემურ თაბუკაშვილის განმარტებით, ზედამხედველობისა და არქიტექტურის სამსახური აქტიურად მუშაობს, რომ ტრასისპირა მდებარე კვების ობიექტბმა იფუნქციონიროს კანონით დადგენილი წესებით. საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ, ვარლამ ჭიპაშვილმა, ღარიხევის გზის მობეტონების სამუშაოებზე ისაუბრა. „სამშენებლო სამუშაოები შპს „მაქსიმმა" შეასრულა. პროექტი მუნიციპალიტეტის მიერ ჩაბარებულია. მაინტერესებს, როგორც ზედამხედველობისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსს, მოგეწონათ თუ არა შესრულებული სამუშაოები და იყო თუ არა იგი მშენებლობის სტანდარტებს დაქვემდებარებული. აქვე დავძენ, რომ შესრულებული სამუშაოებით მოსახლეობა უკმაყოფილია. სახელმწიფო აუდიტის დასკვნაში მკაფიოდ ეწერა, რომ სამუშაოების დასრულების შემდეგ, საგარანტიო ვადის დასრულებამდე, გარანტიისთვის დაკავებული თანხა არ უნდა გადაირიცხოს. ახლა კი აღმოჩნდა, რომ თანხა გადარიცხულია და აუდიტის რეკომენდაცია გაუთვალისწინებელია,"- აღნიშნა საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ, ვარლამ ჭიპაშვილმა. თემურ თაბუკაშვილის განმარტებით, საგარანტიო თანხების გადარიცხვის საკითხი არქიტექტურისა და ზედამხედველობის სამსახურის კომპეტენციაში არ შედის, სამსახური მხოლოდ ხელშეკრულებებზე, ინფრასტრუქტურულ პროექტებსა და შესრულებულ სამუშაოებზე ახორციელებს ზედამხედველობას. რაც შეეხება კომპანიას შპს „მაქსიმს", მას ხელშეკრულება შეუწყდა და კანონით გათვალისწინებული ფულადი ჯარიმა დაერიცხა. სხდომაზე გარე ვაჭრობის რეგულაციებსა და რეკლამის განთავსების საკითხებზეც ისაუბრეს. ბიუროს წევრთა უმრავლესობის აზრით, აღნიშნულ საკითხს ზედამხედველობის სამსახურის მხრიდან მეტი ყურადღება უნდა მიექცეს. თემურ თაბუკაშვილის განცხადებით, სამსახური გარე ვაჭრობასთან და რეკლამების განთავსებასთან დაკავშირებით რეგულაციებზე აქტიურად მუშაობს.

თამარ მაღრაძე

ლიტველი სტუმრები ხარაგაულის სამუსიკო სკოლაში

10 აპრილს ხარაგაულის შოთა ბუაჩიძის სახელობის სამუსიკო სკოლაში სტუმრად ლიტვის ქალაქ ტაურაგეს სამუსიკო სკოლის წარმომადგენლები: დირექტორი, რობერტას რაზეროვსკი, პედაგოგები და მოსწავლეები იმყოფებოდნენ. სტუმრების პატივსაცემად საზეიმო კონცერტი გაიმართა, რომელშიც ხარაგაულისა და ტაურაგეს სამუსიკო სკოლების მოსწავლეები მონაწილეობდნენ. კონცერტზე ვიოლინოსა და ფორტეპიანოზე, ცნობილი კომპოზიტორების ნაწარმოებები შესრულდა. საზეიმო შეხვედრაზე იმყოფებოდა ასევე ზესტაფონის პირველი სამუსიკო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე, ქალბატონი ნინო წერეთელი, რომელიც ლიტვის სამუსიკო სკოლის წარმომადგენლებს მასპინძლობდა ქალაქ ზესტაფონში. ღონისძიებას ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელი, ნიკოლოზ თოფურიძე, პირველი მოადგილე, არჩილ მაღრაძე და ადგილობრივი ხელისუფლების სხვა წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

გამგებელი ლიტველ სტუმრებს მიესალმა და აღნიშნა, რომ ორი ქვეყნის სამუსიკო სკოლების დაახლოება, მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს მომავალი თაობების კულტურულ განვითარებას. ხარაგაულის სამუსიკო სკოლის დირექტორმა, ლალი ალექსიძემ, დამსწრე საზოგადოებას დამდეგი დღესასწაულები მიულოცა და ლიტვის სამუსიკო სკოლასთან დამეგობრების შესახებ ისაუბრა. ღონისძიებაზე ასევე სიტყვით გამოვიდა ტაურაგეს სამუსიკო სკოლის დირექტორი, რომელმაც ხარაგაულელ მეგობრებს სამახსოვრო საჩუქრები გადასცა.

ლელა გუგულაშვილი

გოლათუბანში სასოფლო გზა მობეტონდება

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომაზე დეპუტატებმა მთის განვითარების ფონდიდან დასაფინანსებელ ინფრასტრუქტურულ პროექტზე იმსჯელეს. ადგილობრივი ხელისუფლების მსჯელობის შედეგად, პრიორიტეტი მაღალმთიანი დასახლების სტატუსის მქონე სოფელ გოლათუბნის ცენტრალურ გზას მიენიჭა. გოლათუბნის გზის მობეტონების პროექტი საკრებულომ მოიწონა და დაამტკიცა.

ამავე სხდომაზე გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა, ვლადიმერ გელაშვილმა, დეპუტატებს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტში შესატანი ცვლილება გააცნო. როგორც ვლადიმერ გელაშვილმა აღნიშნა, საქართველოს მთავრობის 2017 ნლის 6 აპრილის №693 განკარგულებით, მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან ხარაგაულს, სოფელ გოლათუბნის სასოფლო გზის მოსაბეტონებლად, 161 000 ლარი გამოეყო. პროექტის მთლიანი ღირებულება 170 274 ლარია, ანუ 9 274 ლარი თანადაფინანსების მიზნით (5%) ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოიყოფა. შეგახსენებთ, რომ „რეგიონული განვითარების ფონდიდან" გოლათუბნის ცენტრალური გზის რეაბილიტაციისთვის 51 000 ლარია გამოყოფილი. გამომდინარე აქედან, საერთო ჯამში, გოლათუბანში 2 200 მეტრ გზის მონაკვეთს ჩაუტარდება რეაბილიტაცია.

თამარ მაღრაძე

„ხარაგაული თამბაქოს გარეშე"

13 აპრილს ახალგაზრდული საკრებულოს (თავმჯდომარე ნონა მაჭავარიანი) სხდომა გაიმართა. სხდომის მთავარ საკითხს თამბაქოს მავნებლობა წარმოადგენდა. „ხარაგაული თამბაქოს გარეშე" ამ სახელწოდებით ახალგაზრდა დეპუტატებს ტრენინგი საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის ექიმ-პროფილაქტიკოსმა, თათია ბლუაშვილმა ჩაუტარა, რომელმაც მოსწავლეებს განუმარტა, თუ რაოდენ მავნებელია თამბაქო ადამიანის სიცოცხლისათვის. შეხვედრის ბოლოს კი მათ შეკითხვებსაც უპასუხა.

აღსანიშნავია, რომ საკრებულოს თავმჯდომარე, მანანა ბარბაქაძე, ახალგაზრდული საკრებულოს აქტიური მხარდამჭერია. „ჩვენი მიზანია, რომ მოსახლეობამ კარგად გაათვითცნობიეროს თამბაქოს მავნებლობა. სამწუხაროდ, მის მოხმარებას ახალგაზრდები უკვე სკოლის ასაკიდან იწყებენ. ამ აკრძალვასა და მავნებლობაზე ყურადღების გამახვილების მიზნით, გადავწყვიტეთ, მოგვეწვია საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის ექიმ-პროფილაქტიკოსი თათია ბლუაშვილი. მოგეხსენებათ, საქართველოს პარლამენტი აქტიურად მუშაობს თამბაქოს მოხმარებასთან დაკავშირებულ კანონზეც," - განმარტა მანანა ბარბაქაძემ.

თამარ მაღრაძე

...ისევ ეროვნული ტრაგედიის აღსანიშნავ ...

ულამაზესი გაზაფხული დაგვისეტყვა 1989 წლის 9 აპრილის ქარიშხალმა. არა და არ შუშდება ნატყვიარი გულის ჭრილობა, როცა ნიჩბებით დაჩეხეს და მომწამლავი გაზით შეხუთეს სული მშვიდობიანი მანიფესტაციის მონაწილეთა, როცა ტანკმა და რუსულმა ჩექმამ ერთხელ კიდევ გადათელა ქართველთათვის ესოდენ სანატრელი თავისუფლება...

აი, ხელში მიჭირავს საქართველოს რესპუბლიკის იმჟამინდელი უმთავრესი გაზეთის, ,,კომუნისტის“ 1989 წლის 11 აპრილის გაყვითლებული ფურცლები, რომლის წინა გვერდზეა ინფორმაცია:

სკკპ ცენტრალური კომიტეტისაგან, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსაგან

8 აპრილს, ღამით, ქალაქ თბილისში, მთავრობის სახლის მოედანზე ექსტრემისტი, ანტისაზოგადოებრივი ელემენტების მიერ პროვოკაციულად გამოწვეულ უწესრიგობათა აღკვეთის დროს დაშავდა ადამიანთა ჯგუფი სამოქალაქო პირთა და სამხედრო მოსამსახურეთა რიცხვიდან. წარმოქმნილი ჭყლეტის შედეგად დაიღუპა 16 კაცი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ღრმა სამძიმარს უცხადებენ დაღუპულთა ოჯახებს, ნათესავებსა და ახლობლებს.

ჰოდა, იმ ,,ექსტრემისტი, ანტისაზოგადოებრივი ელემენტების“ სისხლი დღესაც ,, ღმერთს ცაში შესჩუხჩუხებს და სამართალს ითხოვს...“

შემდეგ კი, ამ ტრაგედიის ერთ-ერთი მსხვერპლის, დედობისათვის შემზადებული ხარაგაულელი ელისო ჭიპაშვილის სისხლს შეუერთდა წმინდა სისხლი აფხაზეთსა და სამაჩაბლოში თავგანწირვით მებრძოლი არაერთი ხარაგაულელი პატრიოტისა. რასაკვირველია, ,, მათ ხსოვნას სამშობლო სანთლებად აინთებს.“ მე კი ამჯერად მინდა, მათ ხსოვნას მივუსადაგო ემიგრანტი ქართველი პოეტის, ნანა მეფარიშვილის, ლექსი ,,გოდება გმირის დედისა...“

შენ რომ გამიჩნდი, დააქუხეს სოფელში თოფი,
მიწექი მკერდზე, შენი გული ჩემში ფეთქავდა,
იყავი ჩემი სისხლისა და ხორცის ნაყოფი,
დედობის მადლი მეწვია და ძარღვებს ხეთქავდა.
დედობა, შვილო, ტვირთი არის, მას ვერ აწონი,
ასეა, როცა ანგელოზი გიზის კალთაში,
მე ახლაც მათბობს ჩემს გულმკერდზე შენი ნაწოლი
და ღამეები გატეხილი ივნანაში.
ვითვლიდით ერთად, ერთად ვწერდით ციცქნა ხელებით,
შენ სხვანაირი იმედის და ოცნების ფერო,
ვმადლობდი დილას, შენს სუნთქვასთან შემოთენებით,
ჩემო სიცოცხლევ, აუხსნელო ტკივილო ჩემო.
დაეცემოდი , მუხლებიდან სისხლი გდიოდა,
განუგეშებდი, არ შვენის-თქო კაცებს ტირილი,
არადა გული იმ დროს ყელში ამომდიოდა,
რომ არ გეტირა, მე ვისწავლე სიმწრით ღიმილი.
შენგან ვიგრძენი საოცარი დედობის ნიჭი,

საღმრთო მიწაზე მიგაჩვიე კაცურ სიარულს,
მე ქალი, დედა და შენ ,,კაცი“-პატარა ბიჭი,
ანი-ბანით რომ გასწავლიდი ქვეყნის სიყვარულს.
სიმწრით გაზრდილო, დაგიძახა შველად მამულმა,
ვინ დამაჯერებს, რომ ეს ძალა ღმერთმა არ მომცა
და თოთო გულმა, ჩემი ცრემლით გადანამულმა,
საგზლად და მადლად დედისაგან წაიღო ლოცვა.
როცა წახვედი, გეძახოდი,- გესმოდა ნეტა?
ნამუცლი თმები გიხდება-თქო , არ გაიკრიჭო,
ისევ რძე გქონდა ბაგეებზე, მოგიკვდეს დედა,
ტუჩები მაინც გაგეწმინდა წასვლამდე, ბიჭო!
ჩამოვუყვები თქვენს საფლავებს მხურვალე კოცნით,
რამდენი რამე დამრჩა , შვილო, რაც უნდა მეთქვა...
შენს გადარჩენილ სამშობლოში დავდივარ ლოცვით,
რომ მასში ვპოვო შენი სული და გულის ფეთქვა!...

მერი გიორგიძე

ზეიმობს ნიჭიერება...

2017 წლის 12 აპრილს ხარაგაულის შოთა ბუაჩიძის სახელობის სამუსიკო სკოლის დარბაზში მოწვეული საზოგადოება კიდევ ერთხელ დარწმუნდა, ნიჭიერების რა პოტენციალია ამ კურთხეულ მიწაზე...

სცენაზე ზეიმობს ნიჭიერება...

კაფანდარა გოგონამ ,,დაიპყრო“ სცენა, მონუსხა მაყურებელი, ,,გადაასახლა“ ზღაპრულ სამყაროში და გაამეორებინა საყვარელი მწერლის , რეზო ინანიშვილის ერთ-ერთი პერსონაჟის სიტყვები: ,,რა კარგია, ასე კარგები რომ ვართ!...“

დიახ, სოლო კონცერტის ავტორმა, ანა მაჭავარიანმა, სრული სისავსით წარმოაჩინა ამ სიტყვების ჭეშმარიტება.

***

სცენაზე პირველი ციცქნა გოგონა ადის, ასევე ციცქნა ვიოლინოთი. სრულდება ბეთჰოვენის ,, ზაზუნა.“ ეს პირველკლასელი თინათინ შავიძეა. აღნიშნული ნაწარმოების ბრწყინვალედ შესრულებაზე რომ აღარაფერი ვთქვათ, ეს იყო ღრმა სიმბოლური გააზრებით განსაზღვრული შესავალი სოლო კონცერტისა. წლების წინ ციცქნა ანა მაჭავარიანი სათაყვანებელი სკოლის კედლებში სწორედ ამ ნაწარმოებით წარდგა პირველად მსმენელთა წინაშე...

როგორი ნიჭიერება, სიყვარული, რა ძალა, რა ენერგია, რა შრომისმოყვარეობა იკვეთება იმ მაღალი გემოვნებით შედგენილ პროგრამაში, როცა მოვისმინეთ ვირტუოზულობით შესრულებული ბერიოს კონცერტი ,, ლა მინორი“, მასსენ ,, ჩაფიქრება“, აზარაშვილის ,,ტანგო“, ცინცაძის ,,მელოდია“, ბეთჰოვენის ,,მენუეტი“, სებისკვერაძის ,, ელეგია“, ,,ზღაპრის ჩიტი“, გილისის ,,რეველრიე“, ბახის ,,პარტიტა“, ლაღიძის ,,არ იფიქრო“. (აკომპანიატორები: დალი მერაბიშვილი, ხათუნა მაჭავარიანი, დარეჯან გვაძაბია, ელენე მესხი, არმაზ შავიძე...)

ხარაგაულის სამუსიკო სკოლის შემოქმედებით ცხოვრებაში ეს მოსწავლის მიერ გამართული მესამე სოლო კონცერტია. წლების მიღმა პირველი სოლო კონცერტის (ფორტეპიანო) ავტორები და-ძმა, მაკა და გიგა კელენჯერიძეები იყვნენ; მეორე (ფორტეპიანო) - დებმა: მარიანა და ნინო მაისურაძეებმა გამართეს, ხოლო მესამე(ვიოლინო) -ანა მაჭავარიანის ,როგორც მოსწავლე-შემსრულებლის, ოსტატობის ნამდვილი დადასტურებაა.

ბევრ ჩვენგანს ეჩვენებოდა, რომ ძალიან მშვიდად უსმენდა თავის საყვარელ მოსწავლეს ამაგდარი პედაგოგი თამარ ჩიმაკაძე, თუმც აშკარად იკვეთებოდა, თუ რა ხდებოდა მის სულში, როცა აღზრდილი ამდენ სამადლობელსა და აპლოდისმენტს პასუხობდა საოცარი გრაციით.

დარბაზში ემოციებით დატვირთულნი ისხდნენ: ანას დედა, ხარაგაულის მესამე საჯარო სკოლის პედაგოგი ქეთევან ჩაჩანიძე, თავდადებული ბებია, ცაცო შათირიშვილი. შეუდარებლად ბედნიერი იყო ქეთევანი იმ წუთებში როგორც დედა და როგორც მეუღლე, რადგან ანამ- დედას , ხოლო აკომპანიატორმა ნიკოლოზ მაჭავარიანმა - მეუღლეს ლეგრინის ,,სიყვარულის ისტორია“ მიუძღვნეს.

ოსტატისა და შეგირდის ამაღლებული ურთიერთობის აკორდი იყო თამარ ჩიმაკაძისა და ანა მაჭავარიანის მიერ შესრულებული გარდელის ,,ქალის სურნელი“.

***

ის დიდი ნეტარება, რაც იმ დღეს ანამ განგვაცდევინა, იმ წლებიდან იღებს სათავეს, როცა სამუსიკო სკოლის გულისხმიერმა წინამძღოლმა, ქალბატონმა ლალი ალექსიძემ, დიდი ენთუზიაზმით შეძლო, რომ სკოლაში ვიოლინოს კლასი ამოქმედებულიყო.

...1997 წლის გაზაფხულზე ხარაგაულს სახელმწიფო სიმებიანი კვარტეტი (კონსტანტინე ვარდელი, თამაზ ბარათაშვილი, ნოდარ ჟვანია, ოთარ ჩუბინიშვილი)ესტუმრა. მათ თავიანთი საშემსრულებლო ხელოვნებით მოხიბლეს მაყურებელი, განსაკუთრებული ინტერესით უსმენდნენ ბავშვები.

და მოსვენება დაკარგა სამუსიკო სკოლის დირექტორმა. ვიოლინოს პროფესიონალი პედაგოგის მოძიება არცთუ ისე ადვილი აღმოჩნდა. თუმცა დასახულ მიზანს მიაღწია და მალე ქუთაისიდან მოწვეული ქალბატონი თამარ ჩიმაკაძე დიდი რუდუნებით შეუდგა ხარაგაულელი ინტერესიანი მოსწავლეების ამ ჯადოსნურ ინსტრუმენტთან დაახლოებას...

როგორც ქალბატონი ლალი ალექსიძე აღნიშნავს, მიუხედავად 90-იანი წლებში არსებული მძიმე სოციალური ფონისა, ძალზე მიზერული თანხით შეუდგა ქალბატონი თამარი მეტად საპასუხისმგებლო და

იმავდროულად საამაყო მისიას. არაერთი ხარაგაულელი აზიარა ვიოლინოზე დაკვრის ხელოვნებას და ეს პროცესი შეუნელებლად გრძელდება დღესაც.

ფაქტი სახეზეა - მარტო ანა მაჭავარიანის სოლო კონცერტიც საკმარისია პედაგოგის პროფესიონალიზმისა და ღვაწლის წარმოსაჩენად. აპლოდისმენტების ფონზე ქალბატონმა ლალი ალექსიძემ სამუსიკო სკოლის სახელით დიპლომები გადასცა თავდადებულ პედაგოგსა და მის ნიჭიერ მოსწავლეს.

***

ემოციებით იყო დატვირთული ანას გამოყენებითი ხელოვნების პედაგოგის დალი ლურსმანაშვილის სიტყვა, რომელშიც ხაზგასმით აღინიშნა ის აქტიური შემართება, რასაც ანა იჩენდა და იჩენს სასკოლო და სკოლისგარეშე ღონისძიებებში. გაიხსენა ის უმშვენიერესი საღამო, რომელიც მიქელანჯელოს ცხოვრებასა და შემოქმედებას მიეძღვნა საბავშვო ბიბლიოთეკაში.

სოლო კონცერტზე ფართო საზოგადოებამ ანა ასევე გაიცნო, როგორც მხატვარი მის მიერ შესრულებული ფერწერული და გრაფიკული ნამუშევრების გამოფენით. ანამ დალი მასწავლებლის თხოვნით წაიკითხა ძალიან ფაქიზი დეკლამაციით დიდი მიქელანჯელოს საოცარი სტრიქონები. მეგობრის წარმატებით აღფრთოვანებულმა ,,იმერეთის ხმამ“, სალომე კვირიკაშვილმა, დიდი გატაცებით მიუძღვნა მას ვაჟა აზარაშვილის ,,დაკარგული სიყვარული“.

შესატყვისი შეფასება მისცა სოლო კონცერტის ავტორს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის უფროსმა, ქალბატონმა ირინე ჩხეიძემ.

,,სცენას, ამ შემაღლებულ ადგილს, თავისი დატვირთვა აქვს. ორმოცი სანტიმეტრით მაღლა რომ დადგება ადამიანი მსმენელის წინაშე, რაღაც განსაკუთრებული, რაღაც ღირებული უნდა გააკეთოს,-აღნიშნა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელმა, ნიკოლოზ თოფურიძემ - რაც დღეს ვნახე, ეს არ არის ჩვეულებრივი მოვლენა. მე ამაყი და ბედნიერი ვარ, რომ ხარაგაულს ამდენი და ასეთი ნიჭიერი ახალგაზრდები ჰყავს. მეამაყება, რომ უფროსი თაობა დაუღალავად ზრუნავს მათი წარმატებული მომავლისათვის. მადლობა სამუსიკო სკოლის ენერგიულ ხელმძღვანელსა და მის პედაგოგებს, ანას მშობლებს, მესამე საჯარო სკოლას, რომელთა წვლილი განუზომელია ამ ნიჭიერი გოგონას წინსვლა-წარმატებაში.“

სითბო-სიყვარულით იყო აღსავსე ანა მაჭავარიანის სამადლობელი სიტყვა, რამაც ერთხელ კიდევ დაგვარწმუნა, რომ ანას სწრაფვა, ხელოვნების ორბიტაზე გასასვლელად, წარმატებული იქნება.

... თუ როიალი მუსიკალური საკრავების მეფეა, ხოლო ვიოლინო -დედოფალი, გვწამს, შენ უეჭველად გახდები ვიოლინოს დედოფალი, ჩვენო ანა!

ეკა შავიძე
მერი გიორგიძე

,,ამ საჩუქარს რამე სხვა სჯობს?!“

ეს მკვირცხლი და თვალებხატულა ბიჭუნა, გურამ ლურსმანაშვილი, ხარაგაულის მესამე საჯარო სკოლის მეშვიდე კლასის წარჩინებული მოსწავლეა. ის საუფლო დღესასწაულზე, ხარებას, მოევლინა მზიან სამყაროს. წელს, 7 აპრილს, გურამს 12 წელი შეუსრულდა და დაბადების დღეზე წიგნით დავასაჩუქრე, თუმცა მან მეორე დღეს ისეთი საჩუქარი მიძღვნა, რომლის ღირებულებაც შეუფასებელია. მან წიგნში, ჩემგან დავიწყებული, ოცლარიანი ბანკნოტი აღმოაჩინა და სიხარულით თვალებგაბრწყინებულმა ადრიან დილით მომართვა სკოლაში.

ეს ფაქტი ხომ მოზარდის სულის მზეობაა, ის ჩირაღდანია, რომლითაც უფალი გურამს უნათებს გზას მაღალი ზნეობრივი მწვერვალებისაკენ...

ჩემო გურამ!

გილოცავ ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომის დღესასწაულს. მწამს, შენი ამგვარი კეთილშობილური ქცევით უქრობი სანთლები აუნთე ადრე წასული ბაბუების: სიკეთითა და ალალმართლობით გამორჩეულ გურამ ლურსმანაშვილისა და მრავალი თაობის აღმზრდელი პედაგოგის, ვაჟა კვინიკაძის, ნათელ ხსოვნას.

შენ მანათობელი სხივებით გააბრწყინე ამაგდარი მშობლების- ნანა კვინიკაძისა და აკაკი ლურსმანაშვილის - ფუძემყარი კერა.

ჩემთვის კი ,,ამ საჩუქარს რამე სხვა სჯობს?!“

მერი გიორგიძე

კადეტთა სამხედრო ლიცეუმი მოსწავლეთა მიღებას იწყებს



გენერალ გიორგი კვინიტაძის სახელობის კადეტთა სამხედრო ლიცეუმი ახალი აკადემიური წლისათვის მზადებას იწყებს და საქართველოს მასშტაბით სხვადასხვა რეგიონის საჯარო სკოლების მოსწავლეებთან საინფორმაციო შეხვედრებს მართავს. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში 10 აპრილს ხარაგაულის გამგეობის საქტო დარბაზში ლიცეუმის წარმომადგენლები მუნიციპალიტეტის VII - IX კლასის მოსწავლეებს შეხვდნენ. შეხვედრას საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი, დავით კიკნაძე და სკოლის დირექტორები ესწრებოდნენ. პრეზენტატორებმა ისაუბრეს კადეტთა სამხედრო ლიცეუმის უპირატეს მხარეებზე. მათივე ინფორმაციით, სწავლა წარიმართება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ეროვნული სასწავლო გეგმისა და დამატებითი სამხედრო პროგრამის მიხედვით, რომლის ხანგრძლივობა 3 წელია. სწავლის დასრულების შემდეგ კადეტები მიიღებენ საშუალო განათლების ატესტატს და შესაბამის სამხედრო სერტიფიკატს. ლიცეუმში ყოფნის პერიოდში კადეტები უზრუნველყოფილ იქნებიან კვებით, საცხოვრებელი ადგილით (ყაზარმა), სამედიცინო მომსახურებით, სამხედრო და სპორტული ფორმებით და სრული სასწავლო აღჭურვილობით.

ლიცეუმის ინოვაციური სწავლებისა და ახალი ტექნოლოგიების დანერგვის კოორდინატორის, ხატია ეჯიბიას, თქმით, „ლიცეუმის მაღალი დონის საშუალო აკადემიური განათლების მიღება შეუძლია ყველა მოსწავლეს განურჩევლად მათი სოციალური მდგომარეობისა. აუცილებელი პირობაა, რომ მოსწავლეს, მიმდინარე წელს ჰქონდეს დამთავრებული საბაზო (IX კლასი) საფეხური. ლიცეუმის წარმომადგენლები ადგილზე მივალთ პრეზენტაციით, დაბეჭდილი ტრიპლეტებითა და პლაკატებით.“

სამხედრო ლიცეუმში ჩარიცხვის მსურველებმა ლიცეუმში უნდა წარადგინონ შემდეგი საბუთები: მშობლის (კანონიერი წარმომადგენლის) განცხადება; პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი; დაბადების მოწმობის დედანი და ასლი; ცნობა ჯანმრთელობის შესახებ, ცნობა საჯარო სკოლიდან ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის (9 კლასი) მიმდინარე წელს დამთავრების შესახებ თანდართული შეფასების ფურცლით; დახასიათება სკოლიდან, ავტობიოგრაფია, სურათი 3X4-ზე (2 ცალი);

აპლიკანტმა უნდა გაიაროს ზოგადი უნარებისა და ფიზიკური მომზადების ტესტები, ასევე სამედიცინო შემოწმება. ლიცეუმში ჩაირიცხება სამედიცინო კომისიის მიერ ჯანმრთელად ცნობილი და კონკურსში მაღალი რეიტინგის მაჩვენებლის მქონე მოსწავლე. მნიშვნელოვანი ყურადღება მიექცევა ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის შეფასების ქულას.

აღსანიშნავია, რომ კადეტთა სამხედრო ლიცეუმის წარმომადგენლებმა შეხვედრები ხარაგაულიდან დაიწყეს. მათი ინფორმაციით, უკვე იდენტიფიცირებულია 19 რაიონული ცენტრი, სადაც ლიცეუმი განახორციელებს გასვლით ღონისძიებებს.

თამარ მაღრაძე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფლებში გზების რეაბილიტაცია იწყება

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობამ სოფლებში გზების რეაბილიტაციისათვის ტენდერები გამოაცხადა. სამუშაოების შესყიდვის მიზნით, ტენდერი მაქათუბნის, ვაშლევის, წაქვას, ვანის, ჩხერის, ქვების, ნებოძირის, ხიდრის, ვარძიის, ხონის, ლახუნდარის, ლაშის იგორეთისა და ღარიხევის ცენტრალურ გზებზე ბეტონის საფარის მოსაწყობად გამოაცხადა. სატენდერო წინადადებების მიღება აპრილის ბოლოს დასრულდება და გამოვლენილი გამარჯვებული კომპანიები სამუშაოებს მაისის თვიდან დაიწყებენ. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებლის პირველი მოადგილე, არჩილ მაღრაძე, აღნიშნავს, რომ სატენდერო პირობები შეცვლილია და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიერ ახალ, ცივილიზებურ და უფრო გამჭვირვალე „NAT“ ტენდერებზე გადასვლა მაქსიმუმამდე გააკონტროლებს ხარისხისა და უსაფრთხოების ზომებს.

ეკა შავიძე

„გაიღე სისხლი - აჩუქე ბავშვებს სიცოცხლე!“

ხარაგაულის საგანმანათლებლო რესურსცენტრში, „სისხლის ბანკისა“ და მუნიციპალიტეტის გამგეობის ჯანდაცვისა და სოციალური სამსახურის ორგანიზებით, სისხლის გაღების აქცია ჩატარდა.

აქცია - „გაიღე სისხლი - აჩუქე ბავშვებს სიცოცხლე“ ლეიკემიით დავადებული ბავშვების დასახმარებლად გაიმართა.

ჯანდაცვისა და სოციალური სამსახურის უფროსის, ნანა კიკნაძის, ინფორმაციით, საქველმოქმედო აქციაში ჩართვა ყველა ხარაგაულელს შეუძლია, თუ ისინი გარკვეულ კრიტერიუმებს დააკმაყოფილებენ.

აღნიშნულის შესახებ მოსახლეობის ინფორმირება გამგეობის სოციალურმა სამსახურმა უზრუნველყო, რომელშიც აქტიურად ჩაერთნენ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობა და ა(ა)იპ-ების თანამშრომლები.

თამარ მაღრაძე

“C” - ჰეპატიტის ელიმინაციის სახელმწიფო პროგრამას ხარაგაულიც შეუერთდა

„C“ - ჰეპატიტის ელიმინაციის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, დაავადებათა ადრეული აღმოჩენის მიზნით, ხარაგაულის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ცენტრში გამოკვლევები უფასოდ ტარდება. საქართველოს ნებისმიერ მოქალაქეს შეუძლია ისარგებლოს აღნიშნული სკრინინგით შემდეგ მისამართზე: დაბა ხარაგაული სოლომონ მეფის ქუჩა 19ა (ყოფილი პოლ იციის შენობა) II სართული. ტელეფონი: (0) 433 22-17-47; მობილური: 577 11-65-36. დილის 10 სთ-დან საღამოს 17 საათამდე.

ხიკოთის უღელტეხილზე ჩქარაოსნული ავტომაგისტრალი საგარაუდოდ სამ წელიწადში აშენდება

რიკოთის უღელტეხილზე 56 კილომეტრიანი ჩქაროსნული ავტომაგისტრალი ოთხ სექციად აშენდება. რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროში ვარაუდობენ, რომ მშენებლობა სამ წელიწადში დასრულდება. საუბარია რიკოთის გვირაბიდან არგვეთამდე – ზესტაფონის შესასვლელამდე- არსებულ საავტომობილო გზის მონაკვეთზე. ავტომაგისტრალის 54 კილომეტრიან მონაკვეთზე 90 ხიდისა და 40 მაგისტრალური გვირაბის მშენებლობა დაიგეგმა. პროექტის დასრულების შემდეგ რიკოთის საუღელტეხილო მონაკვეთზე გადაადგილების დრო 40 წუთით შემცირდება. ავტომაგისტრალის ჯამური ღირებულება 800 მილიონ დოლარს შეადგენს და აზიის განვითარების ბანკის დაფინანსებით ხორციელდება.

გოგა კვინიკაძის დასახმარებლად საქველმოქმედო აქცია ხორციელდება

ხარაგაულის საგანმანათლებლო რესურსცენტრი ხარაგაულელი გოგა კვინიკაძის დასახმარებლად საქველმოქმედო აქციას - „მე დღეს გოგას დედა ვარ“ ახორციელებს.

გოგას ცხოვრება ერთმა საბედისწერო დღემ შეცვალა. 2015 წლის 9 აგვისტოს მდინარე ჩხერიმელაზე მომხდარი უბედური შემთხვევის შედეგად, 23 წლის გოგა კვინიკაძემ ხერხემლის მძიმე დაზიანება მიიღო. მისი მდგომარეობა რთულია. საქართველოში ჩაუტარდა ოპერაცია, გაიარა მკურნალობის კურსი, მაგრამ ჯანმრთელობის გაუარესების გამო გოგას სასწრაფო ოპერაცია ესაჭიროება, რადგან მძიმე ტრავმამ, მის სიცოცხლეს საფრთხე შეუქმნა. გოგას მეუღლე და მცირეწლოვანი შვილი ჰყავს. დედა ადრე გარდაეცვალა.

„ხარაგაულის საგანმანათლებლო რესურსცენტრი, აპრილში დაგეგმილი საგანმანათლებლო კვირეულის ფარგლებში, ახორციელებს საქველმოქმედო აქციას, ხარაგაულის შვილის, გოგა კვინიკაძის, დასახმარებლად. მოგმართავთ ყველა დედას თხოვნით, გავერთიანდეთ გოგას დასახმარებლად! ჩავერთოთ საქველმოქმედო აქციაში. ოპერაციას 30 000 დოლარი სჭირდება.“ - წერს საკუთარ fecebook გვერდზე საგანმანათლებლო რესურსცენტრის სპეციალისტი ნათია კაციტაძე.

„აქციის ფარგლებში „მე დღეს გოგას დედა ვარ", საზოგადოების ინფორმირებისთვის დარიგდა ბუკლეტები, ასევე მომზადდა ხარაგაულელი დედების ვიდეორგოლი. შემოგვიერთდით, ჩვენ ყველგან მივალთ იმისთვის, რომ გოგა მოვიდეს ჩვენთან“- ნათქვამია ასევე ნათია კაციტაძის Facebook პოსტში.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობა უერთდება საგანმანათლებლო რესურსცენტრის საქველმოქმედო აქციას „მე დღეს გოგას დედა ვარ“ და აქციის ფარგლებში მორალურ და ფინანსურ მხარდაჭერას უცხადებს გოგა კვინიკაძეს.

შემოგვიერთდით თქვენც!

ანგარიშის ნომერი:

ლიბერთი ბანკი - GE 17 LB 07 111 281 385 22 000

ზედამხედველობისა და არქიტექტურის სამსახურის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ 2017 წელი

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ზედამხედველობისა და არქიტექტურის სამსახური წარმოადგენს გამგეობის სტრუქტურულ ერთეულს, რომელიც უზრუნველყოფს გამგეობის უფლებამოსილებას მიკუთვნებული სივრცით-ტერიტორიული მოწყობის, დასახლებების დაგეგმარების და მშენელობის საკითხების კორდინაციას, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მშენებარე შენობა- ნაგებობების შესაბამისობის ზედამხედველობას საპროექტო-ნორმატიულ და სახელმძღვანელო დოკუმენტებთან, შესრულებული სამუშაოების ვადების კონტროლს, არქიტექტურულ-საამშენებლო საქმიანობის დადგენილი წესების დარღვევის ფაქტების გამოვლენას, გარე რეკლამის განთავსების, საზოგადოებრივი ადგილებით სარგებლობის შეზღუდვის წესების, გარე ვაჭრობის, კეთილმოწყობის წესებისა და გარე იერსახის დაცვაზე კონტროლს; ზემოთ ხსენებულ საკითხებზე საკრებულოსა და გამგებლის გადაწყვეტილებების აღსრულებას.

სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობების გაცემა 5 სამშენებლო ობიექტზე:

საცხოვრებელი სახლი - საბე, ლევან შველიძე,

საკალმახე მეურნეობა სოფელ მარელისში შპს ,,ლომის მთა“,

გაზსადენი მილი სოფელი ისლარი,

გაზსადენი მილი სოფელი ჯაფაროული,

ოპტიკურ-ბოჭკოვანი კავშირგაბმულობის ხაზი სოფელი ზვარე ,,დელტა კომი“.

სამშენებლო, სარეკონსტრუქციო, სამონტაჟო და მიშენების პროექტის შეთანხმება 11 სხვადასხვა ობიექტზე:

ბოძის და საჰაერო კაბელის მოწყობის ნახაზი, დაბა ხარაგაული, დეკანოსიძის ქუჩა N 5;

საკალმახე მეურნეობის პროექტი, სოფელი მარელისი, შპს „ლომის მთა„;

ელ-გადამცემი ხაზის ნახაზი, ვაჟა ავალიშვილი, სოფელი ვახანი;

ელ-გადამცემი ხაზის ნახაზი, ვახტანგ კაპანაძე, სოფელი ღორეშა;

გაზსადენი მილის პროექტი, სოფელი ისლარი;

გაზსადენი მილის პროექტი, სოფელი ჯაფაროული;

ელ-გადამცემი ხაზი, სოფელი ვერტყვიჭალა;

კავშირგაბმულობის ხაზის პროექტი, სოფელი ზვარე ,,დელტა კომი“;

სატელეფონო კუმუნიკაცია სილქნეტის პროექტი, სოფელი ღორეშა;

თამარ თავზარაშვილის სახლზე აივნის მიშენების პროექტი, დაბა ხარაგაული, 9 აპრილის მეორე შესახვევი N9;

თამარ წიქარიშვილის სახლზე ფართის მიშენება, დაბა ხარაგაული, სოლომონ მეფის ქუჩა N7.

მშენებლობის ნებართვის გაცემა 4 ობიექტზე საკალმახე მეურნეობა სოფელ მარელისში, შპს ,,ლომის მთა“,

ოპტიკურ-ბოჭკოვანი კავშირგაბმულობის ხაზი სოფელი ზვარე ,,დელტა კომი“.

გაზსადენი მილი, სოფელი ისლარი,

გაზსადენი მილი, სოფელი ჯაფაროული,

დემონტაჟის ნებართვის გაცემა 1 ობიექტზე საცხოვრებელი სახლი, სოფელი ნებოძირი

ვარგისად აღიარება 7 ობიექტზე:

წყალმომარაგების სისტემა, სოფელი ჯაფაროული;

წისქვილი, სოფელი ამაშუკეთი;

სარიტუალო დარბაზი, სოფელი ხუნევი;

სარიტუალო დარბაზი, სოფელი ბჟინევი;

მეღვინეობა „კიცხის“ შენობა, სოფელი კიცხი;

ოპტიკურ-ბოჭკოვანი კავშირგაბმულობის ხაზი, სოფელი ზვარე ,,დელტა კომი“.

ზედამხედველობისა და არქიტექტურის სამსახურის მიერ ყველა დაგეგმილ განსახორციელებელ პროექტზე შესაბამის სამსახურებთან და გამგებლის 2015 წლის 19 თებერვლის N49 89 ბრძანებით სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებების და მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ ა(ა)იპ-ბის და შპს-ს მიერ შესრულებული სხვადასხვა სამშენებლო და სარემონტო სამუშაოების შემოწმების მიზნით შექმნილი კონტროლის ჯგუფთან ერთად განხორციელდა ზედამხედველობა შესასრულებელ სამუშაოებზე. 2016 წელს არ მოხდა რამდენიმე პროექტის დასრულება, კერძოდ, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის წარმოდგენა, აღნიშნული პროექტები გადმოვიდა 2017 წელში და, შესაბამისად, ხელშეკრულების ვადის გადაცილებისთვის შემსრულებლებს დაეკისრათ პირგასამტეხლოები:

შპს ,,საბა-ს“ N 230 ხელშეკრულების ვადის გადაცილებისთვის დაეკისრა პირგასამტეხლო 30 ლარი;

შპს ,,არქიტექტი“ N213 ხელშეკრულებაზე ჯარიმა 102.95 ლარი; N214 ხელშეკრულებაზე 103 ლარი;

შპს ,,არქიტექტურა და პროექტი“ N219 ხელშეკრულებაზე 617.50 ლარი; N220 ხელშეკრულებაზე 219.95 ლარი.

ზედამხედველობისა და არქიტექტურის სამსახურის მიერ გატარებული ღონისძიებების შედეგად პირგასამტეხლო ხელშეკრულება შეუწყვიტა:

შპს ,,დალა 73-ს“ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სხვადასხვა ადმინისტრაციულ ერთეულებში საყრდენი კედლების მოწყობის (N78 ხელშეკრულება).

შპს ,,მაქსიმი“ N190 ხელშეკრულების შეუსრულებლობისთვის, რომელიც ითვალისწინებდა ლაშის ადმინისტრაციულ ერთეულში გზების გარკვეულ მონაკვეთებზე ბეტონის საფარის მოწყობის სამუშაოებს.

ინდ.მეწარმე ,,გია ალავიძე“ N180 ხელშეკრულების შეუსრულებლობისთვის, რომელიც ითვალისწინებდა წიფის ადმინისტრაციულ ერთეულში წყლის სისტემის მოწყობას.

ზედამხედველობისა და არქიტექტურის სამსახურმა კომპეტენციის ფარგლებში შეისწავლა და მოახდინა შესაბამისი რეაგირება მუნიციპალიტეტის გამგეობაში შემოსულ მოქალაქეთა განცხადებებზე. სამსახურის თანამშრომლები, დებულებით განსაზღვრული უფლება- მოვალეობის გარდა, ჩართული არიან მუნიციპალიტეტის გამგეობაში არსებულ სხვადასხვა კომისიების მუშაობაში.

ზედამხედველობისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსი თემურ თაბუკაშვილი

გამომცემელი ა(ა)იპ „მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრი“
მის: ხარაგაული, 9 აპრილის ქ.№15, ტელ: **22-32-25**; ტირაჟი 1500 ცალი
დირექტორი: ეკა შავიძე; ტელ.: 595-51-98-12